ჩატარებული გაკვეთილის რეფლექსიის წარმოდგენისას სასურველია ყურადღება გაამახვილოთ შემდეგ საკითხებზე:

1. რამდენად მიაღწიეს მოსწავლეებმა გეგმით განსაზღვრულ შედეგებს? უფრო მეტად რომელი შედეგების მიღწევით ხართ კმაყოფილი?

2. რა გავლენა იქონია გაკვეთილზე გამოყენებულმა სტრატეგიებმა

ა) მოსწავლეთა ჩართულობასა და აქტიურ სწავლაზე?

ბ) მოსწავლეთა პროდუქტულ ინტერაქციაზე?

3. რა ჩანს მოსწავლეთა ნამუშევრებიდან? რა აითვისეს? რომელი უნარების განვითარება იკვეთება?

4. თქვენ რა გამოგივიდათ ყველაზე უკეთ? რა სტრატეგიით გამოიწვიეთ და ჩართეთ მოსწავლეები? რა სტრატეგიები გამოიყენეთ ცოდნის კონსტრუირებისა და რეფლექსია-გამთლიანების ფაზებზე?

5. როგორ შეიცვალა გაკვეთილის სამოქმედო გეგმა მსვლელობის პროცესში? რატომ?

6. ამავე გაკვეთილის ხელმეორედ ჩატარების შემთხვევაში რას შეცვლიდით? როგორ გაუმჯობესებდით საკლასო გარემოს, აქტივობებს, სტრატეგიებს/მეთოდებს, ინსტრუქციებს, მოსწავლეთა დაჯგუფებებს, რესურსებს, მოსწავლეთა შეფასებას?